ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ერთი წლის ანგარიში

08.2014 – 08.2015

- თბილისის ბიუჯეტი
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
- თბილისის ინფრასტრუქტურა
- თბილისის მდგრადი განვითარება
- ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი გარემო
- ეკონომიკისა და ბიზნესის ხელშეწყობა
- კულტურა, განათლება, სპორტი და ახალგაზრდობა
- 13 ივნისის სტიქია
- თბილისის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის საქმიანობის ეფექტურობა და გამჭვირვალობა

თბილისის ბიუჯეტი

- მოქალაქეთა ჩართულობით მოხდა ბიუჯეტის ოპტიმიზაცია
- შემცირდა ადმინისტრაციული ხარჯები
- დამტკიცდა ბიუჯეტის პროგრამული დანართი
- შემუშავდა ბიუჯეტის პროგრამების განხორციელების წესი



	ეკანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა	ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება	განათლება	ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება	ქალაქის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარება	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა
2014 წლის გეგმა	192 416,8	50 319,7	104 100,4	79 609,0	71 027,0	87 285,8	89 020,7	22 643,3	40 024,5	5 952,8
2015 წლის გეგმა	199 532,1	133 322,5	190 032,6	92 820,1	72 929,2	85 988,8	115 464,8	25 093,0	30 782,0	13 159,1

ქალაქ თბილისის 2015 წლის ბიუჯეტი



ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

2015 წლისთვის გაორმაგდა ჯანდაცვის პროგრამების რაოდენობა:

I. აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა 279 ბენეფიციარი

II. C ჰეპატიტით დაავადებულთათვის, მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით, საჭირო კვლევების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, თანხა გამოეყო 560 ბენეფიციარს

III. ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის პროგრამაში ლეიკემიისა და სხვა ონკოჰემატოლოგიური დაავადების მქონე (30 წლამდე ასაკის) პაციენტებიდან, ჩაერთო 12 პირი, თითოეული ბენეფიციარისათვის 200 000 ლარია გამოყოფილი



ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

დაიწყო სოციალური მომსახურების ახალი პროგრამა:

I. 421-მა სოციალურად დაუცველმა ოჯახმა ისარგებლა ახალშობილთა, ერთჯერადი 500-ლარიანი დახმარების პროგრამით

II. სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შშმ პირების დახმარების პროგრამით ისარგებლა 849 ბენეფიციარმა

III. სოციალურად დაუცველი მკვეთრად შშმ უსინათლო პირების დახმარების პროგრამის ფარგლებში, დახმარება გაეწია 811 პირს

IV. შეიქმნა შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა: უსინათლოთა გამცილებლით მომსახურება, ჟესტური ენის სპეციალისტების მომზადება და სხვა

	იყო	გახდა
III ბავშვზე	400	800
IV ბავშვზე	800	1000
V და ყოველ მომდევნო ბავშვზე	1000	1500

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

- *გამარტივდა არსებული პროგრამებით სარგებლობის წესები და ადმინისტრირება:*

- გამარტივდა ნარკოდამოკიდებულ პირთა პროგრამაში ჩართვის მექანიზმები
- გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის პროგრამის ფარგლებში, დაემატა მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესისა და უნარ-ჩვევების დამკვიდრების ხელშეწყობის კომპონენტი
- სოციალური პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 4,1 მილიონი ლარით და შეადგინა 9,9 მილიონი ლარი

- *სხვადასხვა პროგრამით სარგებლობისათვის დადგინდა ობიექტური კრიტერიუმები და წესები:*

- დაინერგა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების ყოველთვიური სტატისტიკის წარმოება, რაც პროგრამების მონიტორინგსა და სამომავლო დაგეგმვას უწყობს ხელს

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

5682 ოპერაცია
8 030 801 ₾

1249 ამბულატორიული მომსახურება
1 079 332 ₾

9479 მოთხოვნა მედიკამენტებზე
4 166 852 ₾

აღნიშნულ პერიოდში დაფინანსდა **22 202** მოთხოვნა
19 703 347 ₾

466 სხივური თერაპია
755 411 ₾

და სხვა **3673**
3 991 638 ₾

1227 რადიოლოგიური კვლევა
666 133 ₾

426 ქიმიოთერაპია
1 016 170 ₾

08/2014-08/2015 წლის განმავლობაში
დაიხარჯა 19 703 347 ლარი

ერთი კვირის განმავლობაში, ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსების საშუალო მაჩვენებელი:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

გამგეობების მიერ დაფინანსებული სოციალური პროგრამები:



ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

უსახლკაროთა პრობლემების აღმოსაფხვრელად გადაიდგა რეალური ნაბიჯები:

- თბილისის მერია ჩართულია უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში, უახლოეს მომავალში დასრულდება უსახლკაროთა რეგისტრაციის ნორმატიული საფუძვლების შემუშავება
- ორხევში შენდება საცხოვრისი 76 ოჯახისათვის
- ლილოში შენდება 240 ბენეფიციარზე გათვლილი უსახლკაროთა კაპიტალური თავშესაფრი

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

გაიზარდა სასწრაფო დახმარების მომსახურების ხარისხი და ოპერატიულობა:

- ამოქმედდა ახალი რეგლამენტი, რომელმაც უზრუნველყო სამედიცინო ბრიგადების ბევრად უფრო სწრაფი მომსახურება (გამოძახების ადგილზე 12-15 წუთით ადრე გამოცხადება)
- ფილიალის მენეჯერების, კვალიფიციური სამედიცინო ბრიგადებისა და მედდების მოზიდვა-შენარჩუნებისთვის გაუმჯობესდა სამუშაო პირობები, გაიზარდა შრომის ანაზღაურება
- შეიქმნა ახალი რაიონული სამსახური და სამედიცინო დახმარების ცენტრის რაიონული მომსახურების ახალი ქვეპუნქტები
- საავტომობილო პარკს დაემატა 12 ახალი ავტომობილი

ინფრასტრუქტურა

2014 წლის აგვისტოდან 2015 წლის აგვისტომდე:

- **393 431** კვ.მ საგზაო სამუშაოები შესრულდა კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ
- **591 892** კვ.მ. საგზაო სამუშაოები შესრულდა გამგეობების მიერ

სულ დაიგო **985 892** კვ.მ გზის საფარი

კაპიტალურად შეკეთდა:

- ✓ თამარაშვილის ქუჩა
- ✓ ც. დადიანის ქუჩა
- ✓ ახვლედიანის ქუჩა
- ✓ გოგებაშვილის ქუჩა
- ✓ თემქიდან თბილისის ზღვაზე ასასვლელი საავტომობილო კვანძი და თბილისის ზღვის შემოვლითი 12 კილომეტრიანი გზა
- *დასახელებულ ქუჩებზე 24 საათის განმავლობაში, დაახლოებით, 600 000 მოქალაქე გადაადგილდება*

ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურა

2014 წლის აგვისტოდან 2014 წლის დეკემბრის ჩათვლით, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ წარმოებული საგზაო სამუშაოები:

2014 წლის გეგმა	2014 წლის 7 თვე ფაქტი
59 519,2 ლარი	25 020,4 ლარი
	2014 წლის ბოლო 5 თვე ფაქტი
	23 609,3 ლარი

ინფრასტრუქტურა

2015 წლის I-II კვარტალში:

- 45 607, 65 მ2-ით (17%) გაიზარდა კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ საგზაო სამუშაოების წარმოება
- 2014 წელთან შედარებით 32%-ით (66 706) მეტი კაპიტალური საგზაო სამუშაო შესრულდა





ინფრასტრუქტურა

საინჟინრო ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობა-რეკონსტრუქცია:

- **განხორციელდა ხიდების გამაგრება, გზაგამტარების, საყრდენი კედლებისა და კოლექტორების მოწყობა:**
- ✓ ისნის რაიონში მეტეხის საგვირაბო კომპლექსის გაგრძელებაზე, მდ.მტკვარზე არსებული ხიდი-ესტაკადის რეაბილიტაცია
- ✓ ფერმწერთა ქ.# 79-ის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა
- ✓ ავჭალაში, ჭედიასა და შუშის ქუჩების დამაკავშირებელი ხიდის მოწყობა
- **მიმდინარე მსხვილი პროექტები:**
- ბარათაშვილის ხიდის რეაბილიტაცია
- აღმაშენებლის ხეივნიდან მუხათგვერდისკენ გადასასვლელი ხიდის რეაბილიტაცია
- ✓ დიღმულას ხიდის რეკონსტრუქცია
- ✓ ზაჰესის დასახლებასთან არსებული სარკინიგზო გზაგამტარის და ხიდი-აკვედუკის სარეკონსტრუქციო სამუშაოები

ინფრასტრუქტურა

საინჟინრო ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობა-რეკონსტრუქცია:

ინფრასტრუქტურა

განხორციელდა ავარიული საცხოვრებელი შენობების კაპიტალური გამაგრება და მშენებლობა:

- კაპიტალურად გამაგრდა 6000-ზე მეტი ოჯახის საცხოვრებელი სახლი - 426 შენობა
- ავარიული სახლების ნაცვლად, მიმდინარეობს ახალი სახლების მშენებლობა, რომლებშიც 58 ოჯახი უკვე განსახლდა, 92 კი - საკუთარ საცხოვრებელს უახლოეს მომავალში დაუბრუნდება

თანადაფინანსებული პროექტები

- თანადაფინანსებულ პროექტებში გაიზარდა გამგეობის თანამონაწილეობის წილი
- ფინანსური ხარჯთაღრიცხვის, მიმდინარე სამუშაოებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების კონტროლს ახორციელებს ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია

<u>მოქალაქეებისათვის</u>

	იყო > გახდა
საცხოვრებელ კორპუსებში შშმ პირთათვის პანდუსების, სპეციალური ამწეების და ლიფტების მონტაჟი	0% > 1%
შენობის ბრტყელი სახურავის შეკეთება	25% > 20%
საცხოვრებელ კორპუსებში ლიფტების შეკეთება	30% > 20%
შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება	30% > 15%
სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთება	50% > 20%
ეზოს საერთო სარგებლობის ჭიშკრის აღდგენა და/ან საღარბაზოს კარის დამზადება-მონტაჟი	30% > 20%
ამხანაგობის კუთვნილი მიმდებარე ტერიტორიის დაფიქსირება (წითელ ხაზებში მოქცევა)	50% > 40%
პანელოვან შენობებში (მრავალსართულიან კორპუსებში), რომლებიც ქარხნული წესით დამზადებული მთლიანი სექციური კონსტრუქციებით მონტაჟდებოდა, სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია	30% > 20%
ბინათმესაკუთრეთა მიერ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე განხორციელებული ე.წ.მიშენებების კონსტრუქციების მდგრადობისა და სეისმომედეგობის განსაზღვრა	30% > 20%
საერთო სარგებლობის ხის, ქვისა და ლითონის კიბეების აღდგენა	25% > 20%
მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ინდივიდუალური ბინების შესასვლელებიდან გეოთერმული ცხელი წყლის საზომი სისტემის თითოეულ ბინაში საბოლოო მოხმარების წერტილებთან დაკავშირება	25% > 10%

ინფრასტრუქტურა

- *2014 წლის აგვისტოდან – 2015 წლის აგვისტოს ჩათვლით დაფინანსდა:*

- ✓ **163** შენობის გამაგრება - 3226 მაცხოვრებელი
- ✓ 1066 შენობის გადახურვა - **151 890** მაცხოვრებელი
- ✓ 530 ლიფტის კაპიტალური შეკეთება - **63336** მაცხოვრებელი
- ✓ წყალ-კანალიზაცია - 317 ერთეულზე - 36274 მაცხოვრებელი
- ✓ კიბისა და პანდუსების მოწყობა - 123 ერთეულზე - 13 407 მაცხოვრებელი
- ✓ 776 სადარბაზოს რემონტი - 58 532 მაცხოვრებელი
- ✓ წყალსაწრეტი, დომოფონი, სენსორული განათება, აივნებისა და კარების მოწყობა – 497 ერთეულზე; სარგებლობს დაახლოებით 54 014 მაცხოვრებელი

თბილისის მდგრადი განვითარება

- **მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმა თბილისს ექნება 18 თვეში:**

მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმა გაითვალისწინებს ქალაქის მდგრადი განვითარების ისეთ ძირეულ პრინციპებს, როგორებიცაა:

თბილისი

- ჯანმრთელი ქალაქი
- მწვანე ქალაქი
- ტოლერანტული ქალაქი
- საცხოვრებლად მოსახერხებელი ქალაქი
- კომპაქტური, რესურსდამზოგავი და "ჭკვიანი ქალაქი" (**Smart City**)
- ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული უნიკალურობის შენარჩუნებაზე ორიენტირებული ქალაქი

თბილისში

- ფეხით მოსიარულეთა და ველობილიკების მოწყობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესება
- მრავალფეროვანი და მაღალი ხარისხის ბუნებრივი ტერიტორიების, მწვანე კორიდორებისა და ხელმისაწვდომი სანაპირო ზოლის უზრუნველყოფა

თბილისის მდგრადი განვითარება

ახალი „ურბანული მართვისა და განვითარების ჯგუფი“ თბილისის სწორ ურბანულ განვითარებაზე ზრუნავს:

- ✓ თბილისის საჭიროებების გათვალისწინებით, მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებები, გამკაცრდა სარეკრეაციო დაცვის რეჟიმი, მშენებლობისას გაიზარდა გამწვანებული ნაწილის კოეფიციენტი
- ✓ დაიწყო კვლევები ისტორიული ლანდშაფტის ავთენტურობის, მთლიანობის დაცვისა და მართვის გაუმჯობესებისთვის, საფრთხის წინაშე მყოფი ძეგლების გადარჩენისათვის (შედეგები აისახება გენ. გეგმაში)
- ✓ 7 მილიონ კვ.მ. ტერიტორიაზე დაამუშავა განვითარების დეტალური გეგმები, რომელთა გათვალისწინება სავალდებულოა ამ არეალში მშენებლობის ნებართვების გაცემისას

თბილისის მდგრადი განვითარება

- თბილისის მერია იწყებს “მომავლის ქალაქის” (ე.წ. მორგენშტადტი) პროექტის განხორციელებას - ხელი მოეწერა ხელშეკრულებას KFW-სთან, რომელიც საკონსულტაციოდ იწვევს გერმანულ კვლევით ორგანიზაციას ‘’FRAUHOFER’’
- 90 ურბანული ინდიკატორის გათვალისწინებით, შესწავლილი იქნება ქალაქში მიმდინარე პროცესები და 2016 წლის თებერვალში თბილისისთვის წარმოდგენილი იქნება მდგრადი პროფილი

ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი გარემო

- **ქალაქის ისტორიაში პირველად,** ძალაში შევიდა თბილისის **გარემოსდაცვითი სტრატეგია**, რომელიც მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად დედაქალაქის გარემოსდაცვით პრიორიტეტებს განსაზღვრავს
- **ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით,** დამტკიცდა ხეების სხვლა-ფორმირების წესები, რაც ხელს შეუწყობს მწვანე საფარის შენარჩუნებას

- **დაიწყო გამწვანებული მონაკვეთების დაცვა:**
  - **ქალაქში 2 344 900 კვ. მეტრზე** მეტ სხვადასხვა ტერიტორიას სარეკრეაციო ზონის სტატუსი მიენიჭა
- **დაიგეგმა გამწვანებული, დასასვენებელი ტერიტორიების მოწყობა:**
  - გლდანის ხიდების მიმდებარედ, შეიქმნა სარეკრეაციო-დასასვენებელი, გამწვანებული სივრცის პროექტი
  - მომზადდა დენდროლოგიური პარკის პროექტი, რომელიც მოიცავს თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე 180 ჰექტარი გამწვანებული ტერიტორიის შექმნას

ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი გარემო

- მერიის მიერ დარგულია 132 000 ნერგი, მათ შორის სკოლებისა და 159 ბაგა-ბაღის ტერიტორიაზე 9 246 ნერგი
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მოსახლეობას გადაეცემა ნერგები მიმდებარე ტერიტორიის გასამწვანებლად
- გამგეობების მიერ მოეწყო 126 და სამუშაოები მიმდინარეობს 110 სკვერისა და ბაღის მოწყობისათვის

ასევე მოეწყო:

- ✓ კრწანისის #7-ის მიმდებარედ არსებული სკვერი
- ✓ სანდრო ეულის ხეივანი
- ✓ წინანდლის #11-ის მიმდებარედ არსებული სკვერი
- ✓ მეტეხის ფერდობი

მიმდინარეობს:

- ✓ ოპერის წინ არსებული სკვერის მოწყობა

ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი გარემო

დარგულია 132 000-ზე მეტი, სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარე:



წლები	2009	2010	2011	2012	2013	2014 (გაზაფხული)	სულ
რაოდენობა (ცალი)	3000	14140	3080	6855	21960	7275	**56 310**

წლები	**2014 (ზაფხულიდან)**	**2015 (გაზაფხული)**	**სულ**
რაოდენობა (ცალი)	34000	98000	**132 000**

ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი გარემო

- EBRD-ის დახმარებით, მზადდება კვლევა თბილისში ნარჩენების მართვისა და სეპარირების სისტემის დანერგვისთვის
- ნარჩენების მართვისთვის, დაიწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, შეიქმნა ინერტული (სამშენებლო) ნარჩენების ნაგავსაყრელი
- გამკაცრდა კონტროლი თბილისის დანაგვიანებაზე
- განხორციელდა მომსახურებისთვის საჭირო ტექნიკისა (ნაგავმზიდი და სხვა ახალი ტექნიკა-სულ 58 ერთეული) და სხვა დამხმარე საშუალებების (7120 ახალი ნაგავშემკრები კონტეინერი) დამატება/განახლება
- მოეწყო დიდი ხნის დანაგვიანებული ტერიტორიების გაწმენდითი აქციები
- სპეც-ტექნიკის საშუალებით, წლების განმავლობაში უყურადღებოდ დატოვებული მიწისქვეშა გადასასვლელები დასუფთავდა

ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი გარემო

მყარი ნარჩენების მართვის პოლიტიკის შემუშავების მიზნით:

ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი გარემო

ენერგოეფექტურობის ხელშეწყობისა და თბილისში ემისიების , CO2-ის შემცირების მიზნით:

- 2015 წელს თბილისი „ენერგო ქალაქების ასოციაციის“ წევრი გახდა
- ენერგოეფექტური მუნიციპალური შენობების პროექტის ფარგლებში, პირველ ეტაპზე 95-ე ბაგა-ბაღსა და თემქის მოხუცთა სახლს ჩაუტარდება ენერგოეფექტური აღჭურვა-რემონტი, რომელიც დაზოგავს ენერგიის მოხმარებასა და შეამცირებს ემისიებს
- პროექტის - „თბილისის მწვანე ქუჩა“ ფარგლებში, დამონტაჟდება მზის ენერგიაზე მომუშავე გარე სანათები, გამწვანდება და კეთილმოეწყობა ინფრასტრუქტურა. პროექტის პილოტირება ხორციელდება კარგარეთელის ქუჩაზე

ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი გარემო

- ***ტრანსპორტის მომსახურების არეალის გაფართოებისა და მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით:***

  - მოხდა მეტროს სადისპეტჩერო სისტემის მოდერნიზაცია, რამაც გაზარდა მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოება და დაარეგულირა მოძრაობის ინტერვალი
  - დადგინდა **10** ახალი საავტობუსო მარშრუტი, **76** მარშრუტზე გახანგრძლივდა სამუშაო დრო და გაიზარდა მოძრაობის სიხშირე,დაემატა **94** ახალი გაჩერება
  - ხორციელდება კუს ტბის საბაგირო გზის სრული რეაბილიტაცია

- ***ტრანსპორტის გამართული მოძრაობის, გამარტივებული პარკირებისა და ფეხით მოსიარულეთა უფლებების დასაცავად:***

  - დამონტაჟდა 3 865 ახალი საგზაო ნიშანი, 1 270 დგარი, გაკეთდა 100 000 მ. ჰორიზონტალური მონიშვნა (ე.წ. ზებრა), 59 650 ვერტიკალური მონიშვნა, დამონტაჟდა ჭკვიანი შუქნიშნები
  - პარკირების პრობლემის გადასაჭრელად და ასევე, ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი ტროტუარების გათავისუფლების მიზნით, დაიწყო მუშაობა პარკირების სპეციალური ადგილების შექმნის წახალისებაზე, ინვესტორების მოზიდვის მიზნით, მოხდა საპარკინგე ადგილების გამოყოფა

ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი გარემო

უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველსაყოფად:

- 70-იანი წლების შემდეგ, **პირველად ჩატარდა საფუძვლიანი გეოლოგიური კვლევა და გამაგრებითი სამუშაოები; დოლიძე-ჩიქოვანის ქუჩებსა და იყალთოს გორაზე მოწყობილმა საყრდენმა კედლებმა 13 ივნისის სტიქიის დროს ნგრევისაგან იხსნა ათობით საცხოვრებელი სახლი**
- 22 ობიექტზე მოწყო ახალი წყალმომარაგების, კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელები
- 1296 ოჯახი უკვე სარგებლობს, ხოლო 634 ოჯახი უახლოეს მომავალში ისარგებლებს ახალმოწყობილი გაზიფიცირების გარე ქსელით
- მოეწყო ახალი, ხელოვნური განათების ადგილები, დაიდგა 86 ახალი განათების ბოძი და განახლდა 158 სანათი
- დასრულდა 24 მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაცია

ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი გარემო



უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფისთვის:

ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი გარემო

შშმ პირთათვის იქმნება ჯანსაღი საცხოვრებელი გარემო:

- უსინათლო და მცირემხედველი პირებისათვის ეწყობა სპეციალური საფეხმავლო ბილიკები
- პირველად დაიწყო შშმ პირთათვის სპეციალური ამწეების, ლიფტების, პანდუსების მონტაჟი
- დასრულებულია პარასპორტის განვითარების ცენტრის მშენებლობა
- საბავშვო ბაგა-ბაღებში უსინათლო, სმენადაქვეითებული და აუტისტური სპექტრის ბავშვებისათვის გაიხსნება საპილოტე ჯგუფები
- საბავშვო ბაგა–ბაღებში გაიხსნება ინტეგრირებული ჯგუფები, სწავლებაში ჩაერთვებიან ლოგოპედები და ფსიქოლოგები
- 2016 წლის გაზაფხულიდან მოსწავლეებს მოემსახურება შშმ პირებისთვის ადაპტირებული ტრანსპორტი

ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი გარემო

- შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობისთვის გადამზადდა 100-მდე პირი
- დაიდგა სპექტაკლები შშმ პირთა მონაწილეობით
- მოეწყობა დარბაზი ინკლუზიური თეატრისთვის
- შეიქმნება მუდმივმოქმედი დასი

ეკონომიკისა და ბიზნესის ხელშეწყობა

ინვესტირების ხელშეწყობის მიზნით:

- შეიქმნა თბილისის საინვესტიციო შესაძლებლობების კატალოგი (Invest in Tbilisi 2015)
- საინვესტიციო გარემოს მოწესრიგებისა და ინვესტირების ხელშეწყობის მიზნით, იდება შეთანხმებები სხვადასხვა ქალაქებთან (მაგ. ჩინეთის ქალაქ ლაიუსთან)
- შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა ქონების მართვის საკითხების დროული და ეფექტური გადაწყვეტისათვის(პირდაპირი განკარგვა, ქონების მართვის გამარტივებული წესები), რაც თავის მხრივ გაამარტივებს ინვესტირების პროცესს
- მომზადდა ცალკეული საინვესტიციო პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებები
- შეიქმნა მეწარმეობის ხელშეწყობის სააგენტო

ეკონომიკისა და ბიზნესის ხელშეწყობა

- *მეწარმეობის მხარდაჭერის მიზნით :*

- მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებზე გაიცა 4 605 000 ლარის ღირებულების იაფი ფინანსური რესურსი
- შეიქმნა **250** ახალი სამუშაო ადგილი
- ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით, გადამზადდა **250** მეწარმე

- *ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით*

- შეიქმნა დედაქალაქის ტურისტული ვებ-გვერდი - მობილური აპლიკაცია
- განთავსდა ელექტრონული საინფორმაციო აპარატები თბილისის ტურისტულ უბნებში
- მომზადდა ძველი თბილისის საფეხმავლო ტური
- მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ქალაქის ბრენდინგზე

- *ინოვაციის ხელშეწყობის მიზნით:*

- ბიზნეს ინკუბატორი „FabLab- Idea Challenge“ პროექტის ფარგლებში, იქმნება სამრეწველო ინოვაციური ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილი იქნება უახლესი, თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობებით (3D პრინტერებით, სკანერებით, ლაზერული მოწყობილობებით).ასევე, დაფუძნდება ყოველწლიური ინოვაციური კონკურსი სახელწოდებით - “Idea Challenge“.

კულტურა

- მუნიციპალურ ობიექტებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, დაიგეგმა რეფორმები, დაიწყო მუზეუმების კომერციალიზაციის პროცესი
- არქეოლოგიური კვლევების ხელშეწყობისა და ტურისტული მარშრუტების გამდიდრების, ასევე, საკვლევი პროექტების შერჩევის მიზნით, შეიქმნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიის საბჭო
- საბჭოს რეკომენდაციით დაიწყო არქეოლოგიური სამუშაოები „შახტახტის“, თბილისის წმ. ორმოც სებასტიანელთა ტაძრის, „საჯოგის ნასახლარის“ და „თრელიგორების ნასახლარის“ ტერიტორიაზე
- საზოგადო მოღვაწეთა ახალი პანთეონისათვის შეირჩა ადგილი და მიმდინარეობს საპროეტქო სამუშაოები (მახათას მთა)
- განხორციელდა 247 საერთაშორისო - გაცვლითი, საგამომცემლო პროექტი, კონკურსი, ფესტივალი, სპექტაკლი და სხვა ღონისძიება
- ✓ დაიდგა ინკლუზიური სპექტაკლი, დამზადდა დოკუმენტური ფილმი და გაიმართა ფოტოგამოფენები
- ✓ პროექტ “ქალთა კვირეულის” ფარგლებში, კულტურული ღონისძიებები გაიმართა სასჯელაღსრულების ქალთა მე-5 დაწესებულებაში

კულტურა

განათლება, სპორტი და ახალგაზრდობა

განათლების ხელმისაწვდომობისა და ხელშეწყობის მიზნით:

- დარეგულირდა სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში აღსაზრდელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების პროცედურები
- შენდება 7 ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი, რის შედეგადაც დამატებით 2500 -მდე აღსაზრდელს მოვემსახურებით. 106 საბავშვო ბაგა-ბაღში ჩატარდა სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები
- სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან სწავლა დაუფინანსდა 1235 სტუდენტს, დაიხვეწა სტუდენტების დაფინანსების წესი
- 250 სტუდენტს ჩაუტარდა სწავლება, 94 სტუდენტი კი გადამზადდა შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად
- შემუშავდა წარმატებული სტუდენტების წახალისების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 2015 წელს სტიპენდიას მოიპოვებს 80-ზე მეტი სტუდენტი (მაგისტრატურის აკადემიურ საფეხურზე)
- სამართლებრივი და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით, ამოქმედდა საზაფხულო სკოლა, რომლის ფარგლებშიც ტრენინგები გაიარა 200-ზე მეტმა ახალგაზრდამ

განათლება, სპორტი და ახალგაზრდობა

სპორტული ცხოვრების, განვითარებისა და ახალგაზრდული აქტივობების ხელშეწყობისთვის:

- გაიწერა მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებულ სპორტსმენთა წახალისების წესები
- გაიმართა 100-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის ჩემპიონატი, საერთაშორისო ტურნირი და სხვა ღონისძიება
- „ღია კარის“ ახალი საგრანტო პროგრამით დაფინანსდა ექვსი ახალგაზრდული პროექტი
- ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი **1%-დან შემცირდა 0,001%**-მდე
- ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში აშენდა და რეკონსტრუქცია ჩაუტარდა სხვადასხვა ტიპის სპორტულ კომპლექსებს
- განხორციელდა სპორტული მოედნებისა და დარბაზების მშენებლობა/რეაბილიტაცია
- „უეფა“-ს სტანდარტების შესაბამისად მოეწყო „დინამო არენა”

განათლება, სპორტი და ახალგაზრდობა

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები

13 ივნისის სტიქიის შედეგები:

- 800-ზე მეტი დაზარალებული პირი
- 190-ზე მეტი დაზარალებული ოჯახი
- 2 დაკარგული და 20 გარდაცვლილი მოქალაქე
- სტიქიის ზონებში არსებული საცხოვრებელი სახლების უმრავლესობა აღარ არსებობს ან არ ექვემდებარება აღდგენას
- პარალიზებული საგზაო მოძრაობა
- განადგურებული, მოშლილი ინფრასტრუქტურა და საკომუნიკაციო სისტემები
- სტიქიის შედეგად მიღებული ზარალი - 100 მილიონ ლარს აღწევს

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები

- სტიქიიდან უმოკლეს ვადაში დაიწყო დაზარალებულების უზრუნველყოფა დროებითი საცხოვრისებით
- თითოეული გარდაცვლილის ოჯახს დამატებით გადაერიცხა 10 000 ლარი
- მერიის წარმომადგენლებს ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდათ დროებით საცხოვრებლებში გადაყვანილ მოსახლეობასთან და მათ პირველადი საჭიროებებით უზრუნველყოფდნენ (სამედიცინო დახმარება, საკვები)
- განხორციელდა სტიქიის ზონებში დაზარალებულთა საცხოვრისების მდგომარეობის აღწერა/შეფასება;
- დაზარალებულ ბავშვებს/ოჯახებს (161 ბავშვი) გადაეცათ დასასვენებელი საგზურები, დაიგეგმა და განხორციელდა ექსკურსიები, რაც ემსახურებოდა დაზარალებულთა ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას
- განხორციელდა ოჯახების საჭიროებების კვლევა და შეიქმნა საიტი **www.help.tbilisi.gov.ge**;

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები

- განხორციელდა დაზარალებული ოჯახებისთვის საცხოვრებელი ფართების გადაცემა ალტერნატიული ფორმით: საცხოვრებელი ფართების ანაზღაურება სულადობაზე მიბმული კვადრატულობის ან საბაზრო ღირებულების მიხედვით
- 37-მა ოჯახმა უკვე შეიძინა საცხოვრებელი ფართი, საერთო ღირებულებით,10 მილიონ ლარამდე
- დაზარალებული პირების სწავლის დაფინანსებას დედაქალაქის მერია უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე, (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო)

საზოგადოების ჩართულობა

- სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში სპეც. სამსახურებთან ერთად 10 000-ზე მეტი მოხალისე მონაწილებდა
- საქართველოდან და საზღვარგარეთიდან მიღებული შემოწირულობებით, სპეციალურად შექმნილ ანგარიშზე, შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვანი თანხების კონსოლიდირება

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები

- ჩატარდა დაზარალებულთა სამედიცინო კვლევა და პირველადი საჭიროების სამედიცინო პაკეტით უზრუნველყოფა
- მომზადდა დასკვნა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი არეალების შესახებ
- საქართველოს ბანკების ასოციაციისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მხარდაჭერით, მოხდა 700-მდე საბანკო ვალდებულების რესტრუქტურიზაცია და ჩამოწერა. ჩამოწერილი თანხების ოდენობა - 500 000 ლარზე მეტია

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები

მიმდინარე და განხორციელებული სამუშაოები :

- ბაგების ელ.სადგურის ტერიტორიაზე დაზიანებული სანიაღვრე კოლექტორის აღდგენითი სამუშაოები
- ჭავჭავაძის #**83**-თან სტიქიის შედეგად დაზიანებული კედლის რეაბილიტაციის პროექტი
- გვირაბების, გზის დაზიანებული მონაკვეთების აღდგენითი სამუშაოები
- მზიურის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი ხიდის მოწყობა/რეაბილიტაცია
- გმირთა მოედნისა და მისი მიმდებარე მარჯვენა სანაპიროს რეაბილიტაცია,
- ზემო ვეძისის #**43**ბ-ს მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის მოწყობა
- 4 საყრდენი კედლის მშენებლობა თბილისი-წყნეთის საავტომობილო გზის მე-2 და მე-4 კილომეტრებზე
- გმირთა მოედნისა და თამარაშვილის ქუჩის დამაკავშირებელი მაგისტრალის სარეაბილიტაციო სამუშაოები
- ზოოპარკის აღდგენის გადაუდებელი სამუშაოები გადარჩენილი ცხოველების გამოსაზამთრებლად
- ზოოპარკის ახალი ტერიტორიის შემოღობვის პროექტი

საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება და გამჭვირვალობა

- *საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები :*

  - ფუნქციების დუბლირების თავიდან ასაცილებლად, განხორციელდა რამდენიმე სამსახურის რეორგანიზაცია
  - მთლიანად განახლდა და დაიხვეწა გამგეობების მენეჯმენტის სისტემა
  - გამგეობების ორგანიზაციული სტრუქტურა შეიცვალა შემდეგი პრიორიტეტების გათვალისწინებით: პრობლემებისა და საჭიროებების კვლევა, ინფრასტრუქტურის ექსპლუატაცია და განვითარება, მოქალაქეებზე ზრუნვა და მომსახურების უზრუნველყოფა

- *საკადრო საკითხების რეგულირება :*

  - პირველად, მოხელის ყველა პოზიციისთვის გაიწერა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები

საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება და გამჭვირვალობა

მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის ეფექტურობის მიზნით :

- დაინერგა დოკუმენტბრუნვის ახალი სისტემა. მერია, გამგეობები და მათი ტერიტორიული ერთეულები ჩართულნი არიან ერთიან დოკუმენტბრუნვაში, რაც ხელს უწყობს ეფექტურ კომუნიკაციასა და დავალებების ოპერატიულად შესრულებას

- ეტაპობრივად გადავდივართ ერთი ფანჯრის პრინციპით თბილისელების მომსახურებაზე. ერთიან ელექტრონულ სისტემაში ჩაერთვნენ არქიტექტურის სამსახური, ქონების მართვის სააგენტო და მერიის საქალაქო სამსახურები. შედეგად, გარკვეულ საკითხებზე (მაგ: ნებართვა ხაზოვან ნაგებობაზე), საჭირო ნებართვების მოპოვება ხდება არა ცალ-ცალკე სხვადასხვა სამსახურიდან, არამედ ერთი წარმოების ფარგლებში

- მერიის ცხელი ხაზის პროგრამის ცვლილებამ და მოქალაქეთა მიერ დაფიქსირებული პრობლემების ყოველკვირეული სტატისტიკის წარმოებამ, შექმნა დამატებითი მექანიზმები ზემოაღნიშნული პრობლემების სწორი ანალიზისა და მათზე ადეკვატური რეაგირებისათვის

საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება და გამჭვირვალობა

დამატებითი სერვისები თბილისელებისთვის:

- არქიტექტურულ საკითხებთან დაკავშირებით, დაინერგა (VIP) განსაკუთრებული მომსახურეობის სერვისი, რომელიც III და IV კლასის შენობა–ნაგებობის სანებართვო საკითხებზე უმოკლეს ვადებში კომპლექსური კონსულტაციის გაწევას გულისხმობს

- შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პროგრამების ერთიანი საინფორმაციო ელექტრონული სისტემა, პროგრამის საშუალებით შემცირდა გადაწყვეტილების მიღებისა და ინფორმაციის მიწოდების დრო (შედეგი პირს ეცნობება მოკლე ტექსტური შეტყობინებით)

- მოქალაქის ინიციატივითა და დონორების დაფინანსებით, შეიქმნა QR ელექტორნული ბიბლიოთეკის პროექტი, რომლის პრეზენტაციაც გაიმართა ოქტომბერში. დღეს უკვე შესაძლებელია ბიბლიოთეკის 500 წიგნზე უფასო წვდომა და ამავე დროს უახლოესი ბიბლიოთეკებისა და მათი კატალოგების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. წიგნების რაოდენობა ეტაპობრივად გაიზრდება.

საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება და გამჭვირვალობა

- შექმნილია თბილისის „სითი ფორუმი“ , რომელიც გულისხმობს მოქალაქეების ჩართულობას ინფრასტრუქტურულ და ინოვაციურ პროექტებსა და დარღვევებთან/პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობაში, რაც ქალაქის გამჭვირვალე მმართველობას უზრუნველყოფს. პროექტის ფარგლებში უკვე შემოსულია 1000-მდე სხვადასხვა ტიპის წინადადება.

- პრობლემებზე სწრაფი რეაგირების მიზნით, თანამდებობის პირები ყოველკვირეულად ხვდებიან მოქალაქეებს, ამ დროისათვის შეხვედრა შედგა 12000-ზე მეტ მოქალაქესთან

- მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის http://tbilisi.gov.ge რეორგანიზაციის შემდეგ, საზოგადოებას მიეწოდება მუდმივად განახლებადი ინფორმაცია მერიაში მიმდინარე პროცესების შესახებ.

- საჯარო ინფორმაციის დროულ გაცემაზე კონტროლის გამკაცრებამ არსებითად გააუმჯობესა საჯარო ინფორმაციის გაცემის მაჩვენებლები, საარქივო მასალის ელექტრონიზაცია კი კიდევ უფრო შეამცირებს ინფორმაციის გაცემის ვადებს.



გმადლობთ

ყურადღებისთვის!